

შ.პ.ს. საზღვაო ტექსერვისი

ს.კ 245431206

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს დასახელება:	შ.პ.ს. „საზღვაო ტექსერვისი“
იურიდიული მისამართი:	ქ. ბათუმი ნონეშვილის ქ. #63
საწარმოს დამფუძნებელი:	სახელმწიფო - 100% წილის მფლობელი
საწარმოს დირექტორი:	სოლომონ ჩხაიძე
ელ.ფოსტა	mtsgeol@yahoo.com ; martec@mail.ru
ვებ.გვერდი	www.mts.ge
საწარმოს რეგისტრაციის თარიღი:	1998 წლის 28 სექტემბერი

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საქართველოს პორტების კუთვნილი მცურავი საშუალებების (გემები, სეინერები, ბუქსირები), ჰიდროტექნიკური დანადგარების, ამწე მოწყობილობების და სხვა ტექნიკა-დანადგარების, აგრეთვე პორტებში შემომავალი უცხო ქვეყნის გემების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტი წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით - მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის პირველი იანვარი.

ფინანსური ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31,12,2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31,12,2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი 01,01,2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	35 719	71 576	62 781
სავაჭრო მოთხოვნები	127 920	133 647	157 324
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	12 269	4 427	7 105
მარაგები	181 243	173 377	177 073
- მზა პროდუქცია			
- სხვა	181 243	173 377	177 073
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	24 929	25 670	24 903
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	26 573	35 369	39 374
ძირითადი საშუალებები	1 312 744	1 335 185	1 357 169
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1 850	1 850	1 850
სულ აქტივები	1 723 247	1 781 101	1 827 579
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	10 513	25 776	19 762
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	4 114		
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	1 843	1 958	11 136
სულ ვალდებულებები	16 470	27 734	30 898
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1 642 009	1 642 009	1 642 009
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(935 204)	(888 614)	(845300)
გადაფასების რეზერვი	999 972	999 972	999 972
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	1 706 777	1 753 367	1 796 681
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 723 247	1 781 101	1 827 579

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

	2019წელი	2018წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(35857)	17 968
სულ ფულადი ნაკადების შემოდინება	553894	304 947
საოპერაციო ფულადი სახსრების გადინება	589751	286 979
- სასაქონლო მარაგების/ნედლეულის შეძენა	188304	82 462
- შრომის ანაზღაურება	223210	113 895
- საიჯარო გადასახადი	-	-
- კომუნალური ხარჯები	10655	9 486
- ტრანსპორტის ხარჯი	13514	9 837
- მიმდინარე რემონტი	3345	9 604
- გადასახადები		10 514
- სხვა ხარჯები	150723	51 180
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(9 173)
- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა	-	9 173
- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა		-
- კაპიტალური ხარჯები		-
+ მიღებული დივიდენდები		-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-	-
+ შემოსულობანი აქციათა ემისიიდან		-
+ შემოსულობანი სესხებიდან		-
- ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდ.-ის დაფარვა		-
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		-
+ ბიზნესში ინვესტირებული ფული		-
- დივიდენდი		-
წმინდა ფულადი სახსრები	(35 857)	8 795
ფულადი სახსრ. პერიოდის დასაწყისში	71576	62 781
ფულადი სახსრ. პერიოდის ბოლოს	35719	71 576

ფინანსური მოგება-ზარალის უწყისი

	საანგარიშგებო პერიოდი 2019 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018 წელი
ნეტო ამონაგები	466 107	244 996
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	450 856	222 771
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	15 251	22 225
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(141 515)	(105 464)
საწყისი მარაგები	173 377	177 073
მარაგების შესყიდვა	149 381	101 768
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	181 243	173 377
საერთო მოგება	324 592	139 532
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(223 210)	(112 773)
ცვეთა და ამორტიზაცია	(31 236)	(35 163)
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(113 575)	(36 914)
სულ საოპერაციო ხარჯები	(368 021)	(184 850)
საოპერაციო მოგება	(43 429)	(45 318)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	1 816	2 306
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(4 977)	(302)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(46 590)	(43 314)
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	(46 590)	(43 314)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 753 367	1 796 681
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 706 777	1 753 367

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

2019 წელი	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1 642 009	999 972	-	-	(888 614)	1 753 367
+ ზრდა პერიოდის განმავლობაში					(46 590)	(46 590)
- კლება პერიოდის განმავლობაში						-
ნაშთი პერიოდის ბოლოს	1 642 009	999 972	-	-	(935204)	1 706 777

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-2 %
✓ მანქანა დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-14-20%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შ.პ.ს. საზღვაო ტექსერვისის

დირექტორი:



ს. ჩხაიძე

ბუღალტერი:



ნ.კუნჭულია